საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მ. გ. ადვოკატ ი. ბ. წინააღმდეგ

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კობა ბოჭორიშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კახაბერ წერეთელი – კოლეგიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრების ავტორები: მ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი 12.01.11

საჩივრის რეგისტრაციის # 001/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი 18.10.11

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შეტანილი: ი. ბ. სიითი /

საჩივრების მოთხოვნა: ადვოკატ ი. ბ. ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2011 წლის 12 იანვარს საჩივრით მომართა მ. გ. ადვოკატ ი. ბ. წინააღმდეგ.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მისი შვილის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ი. ბ.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას პრეტენზია არ გააჩნია ადვოკატის მიმართ, უბრალოდ აინტერესებს ადვოკატი მოქმედებდა თუ არა პროკურატურის ზეწოლით.

1.4 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის წინაშე განმარტა, რომ მას ადვოკატის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს, თუმცა წარმოეშვა ეჭვი, ადვოკატი პროკურორის ზეწოლით მოქმედებდა თუ არა. საჩივრის ავტორის განცხადებით ეჭვის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება მას არ აქვს, რომ ეთიკის კომისიას წარმოუდგინოს.

1.6 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ადვოკატთან მორიგება სურს და არ გააჩნია ინტერესი ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების თანახმად.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. ბ. განაცხადა, რომ იგი იცავდა მ. გ. შვილის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლის სამართლის საქმის მასალები ამჟამად იმყოფება ლ. ს. ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შესაბამისად მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ადვოკატი ვერ ახერხებს წარმოუდგინოს საქმის მასალები ეთიკის კომისიას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი არ მოქმედებდა პროკურორის ზეწოლით, უფრო მეტიც იგი პროკურორს წინააღმდეგობას უწევდა, რაც განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმაც დაადასტურა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1 უდავო ფაქტობრივი გარემოებები

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.1.1 ადვოკატი ი. ბ. იცავდა საჩივრის ავტორის შვილის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ა) მ. გ. 2011 წლის 12 იანვრის საჩივარი #001/11.

ბ) ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 14 სექტემბრის სხდომის ოქმი.

3.2 . სადავო ფაქტობრივი გარემოება:

3.2.1 მოცემულ საქმეში სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს საჩივრის ავტორის ეჭვი ადვოკატი მოქმედებდა თუ არა პროკურატურის ზეწოლის ქვეშ.

3.2.2 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ მას გააჩნია ეჭვი, რომ ადვოკატი პროკურატურის ზეწოლით მოქმედებდა.

3.2.3 ადვოკატის პოზიციით, იგი კეთილსინდისიერად იცავდა კლიენტის ინტერესებს და პროკურატურის მხრიდან მის მიმართ ზეწოლას ადგილი არ ჰქონდა.

3.2.4 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის განცხადება, ადვოკატის მიმართ პროკურატურის ზეწოლის ფაქტის თაობაზე წარმოადგენს ეჭვს და არა დასაბუთებულ ვარაუდს. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ეჭვი ადვოკატის მიმართ ჩადენილი ქმედების მიმართ შესაძლოა გაუჩნდეს საჩივრის ავტორს, თუმცა კომისია მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ არის გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით ადვოკატის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს გარემოებას, რომ ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ადვოკატის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს და ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარს აცხადებს. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ კლიენტის მიერ საჩვარზე უარის თქმა არ წარმოადგენს დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძველს, თუმცა დისციპლინური სახდელი არ დაეკისრება ადვოკატს, თუ საქმეში არსებული მასალების მიხედვით მას არ დაუდასტურდება დისციპლინური გადაცდომა.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პროკურატურის მხრიდან ადვოკატის ზეწოლის ფაქტს საქმეში არ მოიპოვება და კომისია მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ვერ დაადგენს ადვოკატის მიმართ ზეწოლის ფაქტს, მით უფრო საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა კეთილსინდისიერი გახლდათ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია თვლის რომ ადვოკატ ი. ბ. მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ დასტურდება ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტების დარღვევა, შესაბამისად არ არსებობს ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ი. ბ., სიითი ნომერი დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე — კობა ბოჭორიშვილი

კოლეგიის წევრი — კახაბერ წერეთელი

კოლეგიის წევრი — ზურაბ ძლიერიშვილი